ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს, ტერიტორიული ორგანო

№04-12/366 22.05.2012

სსიპ ქალაქ თბილისის №210 საჯარო სკოლის
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს,
ბატონ **დავით ძნელაძეს**

ბატონო დავით,

მიმდინარე წლის 14 მაისს ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრში შემოსული თქვენი №4-143 წერილის (რეგისტრაციის №04-15/320) პასუხად, მოგახსენებთ:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის, ბატონი როინ გიუნაშვილის №09-5-20/23368 წერილის (რეგისტრაციის №04-12/332 19.05.2012) საფუძველზე გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი სსიპ ქალაქ თბილისის №210 საჯარო სკოლამ სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილობრივ თვითთმართველობასთან შეთანხმებით, განახორციელოს წერილში მითითებული ამორტიზებული ნაგებობების დემონტაჟი და დემონტაჟის შემდგომ დარჩენილი ფართის გამოუყენებელი ნარჩენებისაგან გათავისუფლება.

აგრეთვე გაცნობებთ, რომ დემონტაჟი აუცილებლად უნდა განხორციელდეს უსაფრთხო ნორმების სრული დაცვით, ამასთან დემონტაჟის დასრულების შემდგომ შესაბამისი ინფორმაცია უნდა წარედგინოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს.

პატივისცემით,

ხათუნა მაჭარაშვილი
საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

ქ. თბილისი დიმიტრი უზნაძის ქ. №68 ს/ი 0102 ტელ. 45 16 68
ელ. ფოსტა - khatuna_m@mes. gov.ge